



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 371

ქალაქი ქუთაისი 29 მარტი 2017 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“  
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის  
25 თებერვლის №116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №116 განკარგულებაში შემდეგი ცვლილება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №734–№740 პუნქტები თანდართული რედაქციით.

/დანართი განკარგულებას თან ერთვის/

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და  
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატი-ზებო საფასური (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
734	მიწის ნაკვეთი	ჯავახიშვილის ქუჩა N49-ის ჩრდილოეთით	29.0	03.04.21.291	90.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
735	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩა N46-ის დასავლეთით	244.0	03.05.22.629	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
736	მიწის ნაკვეთი	ახალგაზრდობის გამზირის ბოლო მონაკვეთი	15.0	03.06.27.248	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
737	მიწის ნაკვეთი	ზ. გამსახურდიას გამზირი N37-ის ჩრდილოეთით	134.0	03.05.27.053	60.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
738	მიწის ნაკვეთი	ჭავჭავაძის გამზირი N1-ის მიმდებარედ	59.0	03.04.32.839	90.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
739	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი N36-ის ჩრდილოეთით	36.0	03.05.22.627	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
740	მიწის ნაკვეთი	ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევი N11-ის სამხრეთით	2154.0	03.05.23.336	25.0 1 კვ.მ-ზე	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

ნიკოლოზ ლატარია